შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№35 (9.600)

14–21 სექტემბერი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გილოცავთ!

მოგესალმებით, ძვირფასო მეგობრებო, გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. წელს დედოფლისწყაროში 9 საჯარო სკოლის შენობა გარემონტდა, მთავრობის ინიციატივითა და დაფინანსებით უფასოდ დარიგდა სასკოლო სახელმძღვანელოები, პირველკლასელებს მერხებთან კვლავ დახვდებათ ნოუთბუქები. მომავალში კიდევ უფრო მეტი გაკეთდება იმისთვის, რომ პედაგოგებსა და მოსწავლეებს განათლების სფეროში უკეთესი პირობები შეექმნათ.

განსაკუთრებით მინდა მივესალმო მათ, ვინც პირველად უნდა შემოადგან ფეხი სკოლაში. მათთვის ეს განსაკუთრებული დღეა. განსაკუთრებული იმიტომ, რომ გადავიდნენ ცხოვრების ახალ ეტაპზე. ვუსურვებ მათ კარგი ცოდნის მიღებას და ცხოვრების მშვიდობიან, ლამაზ წლებს.

ყველა მოსწავლეს, , მშობელს, სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელს, თითოეულ პედაგოგს გულითადად გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

გისურვებთ წინსვლასა და წარმატებებს იმ კეთილშობილურ საქმეში, რასაც ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ აკეთებთ.

პედაგოგებს განსაკუთრებული როლი გაკისრიათ ერის განვითარებში. გისურვებთ გეამაყოთ თქვენი აღზრდილებით მომავალშიც ისევე, როგორც აქამდე არაერთხელ გიამაყიათ.

განათლება და განათლებული ახალგაზრდობა — საქართველოს წინსვლის და წარმატების უპირობო წინაპირობაა. ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე ხომ სწორედ განვითარებული, განსწავლული და თავისი საქმის მცოდნე პროფესიონალებია. მჯერა, რომ ახალი სასწავლო წელი თითოეული თქვენთაგანისათვის წარმატებული იქნება.

ირაკლი შიოლაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი

ძვირფასო მოსწავლეებო, პედაგოგებო, გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. გისურვებთ ჯანმრთელობას და მშვიდობიან გარემოში ცხოვრებას. მუდამ გვიგულეთ თქვენს გვერდით კარგი განათლების მიღებისთვის სათანადო პირობების შექმნისა და სოციალური პრობლემების მოგვარების საქმეში. იმედია, ახალი სასწავლო წელი ბევრი წარმატების მომტანი იქნება ყველასთვის.

ლევან ნატროშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

„ახალ სამედიცინო აპარატურას ამერიკა გადმოგვცემს“...

ამერიკული მხარე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს ძვირადღირებულ სამედიცინო აპარატურას საჩუქრად გადასცემს, საბოლოო ჯამში დედოფლისწყაროში მილიონამდე ლარის ღირებულების ტექნიკა შემოვა. ამის შესახებ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა ტელეკომპანია „ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში, თოქ-შოუ „დედოფლისწყაროს საათში“ სტუმრობისას განაცხადა.

გამგებელმა მოსახლეობას პირველი საჯარო ანგარიში ტელევიზიით ჩააბარა და სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე კომენტარი გააკეთა. ირაკლი შიოლაშვილმა, ასევე, სატელეფონო ჩართვების მეშვეობით სოფლების მაცხოვრებელთა შეკითხვებსაც უპასუხა.

ირაკლი შიოლაშვილი „პირადად შევხვდი სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს ჰუმანიტარულ დარგში, უკვე მიღწეულია შეთანხმება და პირობა გვაქვს, რომ სავარაუდოდ სექტემბრის ბოლოს თანამედროვე სტანდარტების უახლესი ტექნიკა დედოფლისწყაროში შემოვა. აპარატურის ღირებულება დაახლოებით ერთ მილიონ ლარს აღწევს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპისთვის დედოფლისწყაროს სამედიცინო დაწესებულებებს შესაბამისი ინფრასტრუქტურა თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი არ აქვს, ეს ტექნიკა დედოფლისწყაროში მაინც შემოვა და ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობას მოხმარდება.

რამდენიმე წელია, ჯანდაცვის სფეროში პრობლემა დგას. ინფრასტრუქტურა ფაქტობრივად არ არსებობს. პირველივე დღეს დავინტერესდი ამ საკითხით. პრობლემა სერიოზულია, რადგან „ადითს“ მთლიანი ინფრასტრუქტურა ჰქონდა ჩაბარებული და, რაც მთავარია, შენობები დატვირთული ოყო ოფშორულ ზონებში, ანუ გარკვეული ვალდებულებები ჰქონდა აღებული და საქართველოს ხელისუფლებას შეუსრულებელი ვალდებულებების მოტივით „ადითისთვის“ რომც წაერთმია ეს ქონება, ამას სახელმწიფოსთვის მატერიალური ზიანიც გადმოჰყვებოდა. ამიტომ, ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად რამდენიმე თვე დაგვჭირდა, რომ ამ პრობლემაზე ნაყოფიერად გვემუშავა. ამჯერად, უკვე მოეწერა ხელი იმ განკარგულებას, რის მიხედვითაც სახელმწიფომ დაიბრუნა ეს ქონება და შენობები. ჩვენ სამინისტროსთან უკვე ვმუშაობთ იმაზე, არსებულ შენობებში მოხდება საავადმყოფოების რეაბილიტაცია, თუ ახალი აშენდება. ამიტომაც მოსახლეობას მინდა ვუთხრა, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ამით იქმნება პრეცენდენტი, რომ ეს იქნება მუნიციპალური საავადმყოფოები. მარტივად რომ ვთქვათ, სახელმწიფო მოახდენს მათ სრულ რეაბილიტაციასა და აღჭურვას, შემდეგ კი სამართავად ჩამოთვლილ მუნიციპალიტეტებს გადასცემს. ვფიქრობთ, რომ ეს უფრო ეფექტური გზაა. როგორი მენეჯმენტი განხორციელდეს და რა სჭირდება საავადმყოფოს, ეს ადგილზე უკეთესად იციან. ხშირად ექიმები 5-6 თვე ხელფასებს ვერ იღებდნენ, რაც თავისთავად სერიოზული პრობლემაა. როცა ამ შენობების „ადითისთვის“ გადაცემა ხდებოდა, სამწუხაროდ, არც ჯანდაცვის სამინისტროს და არც ადგილობრივ ხელისუფლებას არ უფიქრია იმაზე, რა იქნებოდა შედეგი. მივიღეთ ის, რომ მთლიანად

(გაგრძელება გვ.3)

ცხოვრება ხელების გარეშე

„სოფლის სიყვარულით ვცხოვრობ“

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50. 2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 27 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი
- მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

შალვა ფიფია - წელს სახელმწიფო რთველის პროცესში მინიმალურად ერევა

„წლევანდელი რთველი არის აბსოლუტურად განსხვავებული წინა პერიოდის რთველისგან, მთელი რიგი ცვლილებების გამო. სახელმწიფო მინიმალურად ერევა ამ პროცესში. თუ წინა წლებში სახელმწიფო იყო ყურძნის ძირითადი მიმღები და აწესებდა თამაშის წესებს, წელს, ფაქტობრივად მთლიანად კერძო სექტოერის მიერ ხდება ყურძნის ათვისება“,- განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ.

დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე მინისტრმა სუბსიდირების პროცესზეც ისაუბრა. „წინა პერიოდში, ფერმერების სუბსიდირება ხდებოდა ვაუჩერების გაცემის გზით, რაც ნიშნავდა იმას, რომ ძალიან ხშირად მევენახეებს უწევდათ რიგში ორჯერ და მეტჯერ დგომა იმისათვის, რომ გაენაღდებინათ ვაუჩერები და ასევე მიეღოთ მეღვინეების მიერ გადახდილი თანხაც. წელს ასე აღარ არის. სუბსიდირების გზა არის სრულიად სხვანაირი. პირდაპირ ღვინის მწარმოებელი კომპანიების სუბსიდირება ხდება, შემდეგი პრინციპით: თუ ისინი ხარისხიან კონდიციურ ყურძენში გადაიხდიან ლარს ან მეტს, ისინი მიიღებენ სუბსიდიას. ხოლო ლარზე ნაკლები ფასის გადახდის შემთხვევაში, ისინი სუბსიდიას არ მიიღებენ. შესაბამისად, სახელმწიფოს ჩარევა არის ამ შემთხვევაში ძალიან რბილი, მოქნილი და ჩვენ ვცდილობთ, რომ მაქსიმალურად მივცეთ საშუალება ბაზარს, დაარეგულიროს ეს ურთიერთობები მევენახეებს და მეღვინეებს შორის“,- განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

მისივე თქმით, წელს სახელმწიფო სუბსიდია ე.წ. კონდიცირებულ, ხარისხიან 1 კგ რქაწითელსა და კახურ მწვანეზე 40 თეთრს შეადგენს, ხოლო 1 კგ საფერავზე სუბსიდია 25 თეთრია.

მინისტრის განმარტებით, 1 ლარად ან 1 ლარზე მეტ ფასად ყურძნის შესყიდვისას, ღვინის მწარმოებელი კომპანიებისათვის შეღავათიანი აგროსესხების გაცემა დაიწყო. 15 თვიანი სესხი 12%— 15% -ად, საიდანაც 9%-ს სახელმწიფო დაფარავს. „რთველი 2013“ -ის დროს აღარ ხორციელდება ყურძნის ფასის ხელოვნური ზრდა, სახელმწიფო აღარ არის კერძო სექტორის კონკურენტი, არ ხდება მცირე და დიდი ვენახების დიფერენცირება.

კახეთში რთველი აგვისტოს ბოლოს დაიწყო. ღვინის ქარხნები ყურძენს 1 ლარად იბარებენ. სულ კახეთში წელს 120 000 ტონა ყურძნის მოსავალია მოსალოდნელი. რთველის საკოორდინაციო შტაბის ინფორმაციით, 9 სექტემბერის მონაცემებით, კახეთში, ღვინის 40-მა კომპანიამ 14 059 ტონა ყურძენი გადაამუშავა. აქედან, 6 044 ტონა რქაწითელი, 7 840 ტონა საფერავი, 64.0 ტონა მწვანე და 111 სხვა ჯიშის ყურძენი.

გუშინ ბოროტი ხუმრობების სერია იყო - ირაკლი ღარიბაშვილი

ცრუ შეტყობინებების ავტორების მიმართ კანონმდებლობა გამკაცრდება. შესაბამისი ინიციატივით შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოდის.

როგორც პრემიერ-მინისტრის რეზიდენციაში დღეს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, გუშინ ბოროტი ხუმრობების სერია იყო.

„არ ვიცი, სხვა რა ვუწოდო ამას, თუ არა ეს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს იყო ორგანიზებული, მაგრამ საბოლოდ გავარკვიეთ, რომ ამ შეტყობინებების ავტორები სამწუხაროდ, არასრულწლოვანები იყვნენ. ყველა პირის ვინაობა დადგენილია. სამწუხარო ფაქტია, რომ მშობლები ბავშვებს სათანადო ყურადღებას ვერ აქცევენ“, -აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მან ყველა მშობელს მოუწოდა, სათანადო ყურადღება მიაქციოს შვილს და მსგავსი ბოროტმოქმედების ჩადენა აუკრძალოს.

რაც შეეხება კანონის გამკაცრებაზე უწყების ინიციატივას, ირაკლი ღარიბაშვილს დიდი იმედი აქვს, რომ ის ფორსირებულად მოკლე დროში დამტკიცდება.

„ამის შემდეგ ყველა ცრუ შეტყობინების ავტორი ძალიან მკაცრად დაისჯება, რათა ვეღარავინ გაბედოს მსგავსი შეტყობინება“, - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მას არ უსაუბრია იმაზე, თუ კონკრეტულად რას ითვალისწინებს სასჯელის გამკაცრება.

ირაკლი ღარიბაშვილმა მხოლოდ ის შენიშნა, რომ ინიციატივაში ყველაფერი დეტალურად იქნება აღწერილი.

შსს პრეზიდენტის განცხადებას პასუხობს

შინაგან საქმეთა სამინისტრო ეხმაურება პრეზიდენტის განცხადებას, რომელიც მან დღეს სტუდენტებთან შეხვედრისას გააკეთა. მიხეილ სააკაშვილის თქმით, თითქოს ქუთაისსა და გორში მიმდინარეობს მართვის მოწმობების უკანონოდ გაცემა, რაშიც მოქალაქეებს 500 ლარს ახდევინებენ.

შსს აცხადებს, რომ მსგავსი განცხადება არის სამართალდამცავი უწყებისათვის შეურაცხმყოფელი და მიმართულია პოლიციის დისკრედიტაციისაკენ. სამინისტრო მოუწოდებს პრეზიდენტს თავი შეიკავოს სამართალდამცავი სტრუქტურების შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური განცხადებების გაკეთებისაგან.

ცესკოს ახლადარჩეული თავმჯდომარე კომისიაში ძირეულ ცვლილებებს ამ ეტაპზე არ გეგმავს

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახლადარჩეული თავმჯდომარე თამარ ჟვანია კომისიაში ამ ეტაპზე ძირეულ ცვლილებებს არ გეგმავს, თუმცა აცხადებს, რომ ცესკო იქნება მაქსიმალურად გამჭვირვალე და კანონმორჩილი ადმინისტრაცია.

ჟვანიამ კანდიდატად წარდგენისა და არჩევისთვის მადლობა გადაუხადა არასამთავრობო სექტორს, პოლიტიკურ მხარეებს და დასძინა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების წინ ეს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება იყო.

“მე, როგორც თავმჯდომარემ, საარჩევნო ადმინისტრაციის კომპეტენციის ფარგლებში მინდა ჩვენს ამომრჩეველს ვუთხრა, რომ ჩვენ ვიქნებით მაქსიმალურად გამჭირვალე, ვიქნებით კანონის მორჩილი ადმინისტრაცია, აუცილებლად ვიქნებით პროფესიონალები ჩვენს საქმეში. რა თქმა უნდა, ვიქნებით მიუკერძოებლები. მთავარია, ჩვენ ყველამ ერთად ავაშენოთ ნდობა და საპრეზიდენტო არჩევნები იყოს საუკეთესო, რაც საქართველოში აქამდე ჩატარებულა”, - აღნიშნა თამარ ჟვანიამ.

შეგახსენებთ, რომ თავმჯდომარის თანამდებობაზე სამი კანდიდატი პრეზიდენტმა 9 სექტემბერს წარადგინა. ამ პოსტზე წარდგენილნი იყვნენ გაეროს განვითარების პროგრამის საარჩევნო პროექტის მენეჯერი თამარ ჟვანია, საარჩევნო კომისებთან ურთიერთობის სპეციალისტი მანუჩარ გამყრელიძე და ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კონსტანტინე ამირაჯიბი. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ თამარ ჟვანია კომისიის წევრების უმრავლესობამ აირჩია. ჟვანიას დანიშვნას კომისიის ექვსივე წევრმა დაუჭირა მხარი.

გაზრდილი პენსიები სოციალურ შემწეობაზე გავლენას არ მოახდენს - სერგეენკო

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს განცხადებით, გაზრდილი პენსიები სოციალურ შემწეობებზე გავლენას არ მოახდენს. მან ამის შესახებ ჟურნალისტებს პრემიერ-მინისტრის რეზიდენციაში მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა. როგორც მინისტრმა განმარტა, სოციალური დახმარების მინიჭების სისტემაში რამდენიმე ათეული ფაქტორი მოქმედებს. ერთ-ერთია ფინანსური შემოსავლები, რომელიც ქულებზე ახდენს გავლენას.

“ალოგიკური იქნებოდა, გაზრდილ პენსიას ქულები შეეცვალა და, შესაბამისად, გარკვეულ ადამიანებს, რომელთა რაოდენობა 20 000-ია, პენსიის მომატების გამო სოციალური დახმარება დაეკარგა. შესაბამისად, ჩვენ მეთოდოლოგიის მოდელირება მოვახდინეთ, მთავრობისგან ნებართვა ავიღეთ და გაზრდილი პენსიები სოციალურ შემწეობებზე გავლენას არ მოახდენს”, - განაცხადა დავით სერგეენკომ.

ცესკო-მ საპრეზიდენტო კანდიდატად კიდევ სამი მსურველი არ დაარეგისტრირა

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საპრეზიდენტო კანდიდატად დარეგისტრირებაზე კიდევ სამ მსურველს უარი უთხრა.

როგორც დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე ცესკო-ს სპიკერმა ეკა აზარაშვილმა განაცხადა, მათ შორის, ორი ორმაგი მოქალაქეობის მქონე იყო, ხოლო ერთს კი მხოლოდ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა ჰქონდა.

,,სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადასტურდა, რომ კანდიდატობის მსურველი ზურაბ წინუაშვილი არის ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი, ის ერთდროულად არის საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე, რის გამოც მას კანდიდატად რეგისტრაციაზე უარი ეთქვა. ასევე, ორმაგი მოქალაქეობის გამო უარი ეთქვა კიდევ ერთ მსურველს მერაბ სულიაშვილს, ის ერთდროულად საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა. საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატი ავთანდილ იოსელიანი კი არის, მხოლოდ რუსეთის მოქალაქე და საქართველოს მოქალაქეობა შეწყვეტილი აქვს,”- განაცხადა აზარაშვილმა.

ეკა აზარაშვილის თქმით, დღემდე ორმაგი მოქალაქეობის გამო უარი ეთქვა სამ კანდიდატს: გიორგი გახოკიას, ტარიელ ხვედელიძეს და სალომე ზურაბიშვილს.

“რაც შეეხება უკვე რეგისტრირებულ კანდიდატებს, ამ დროისათვის რეგისტრირებულია უკვე ექვსი საპრეზიდენტო კანდიდატი: მიხეილ სალუაშვილი, შალვა ნათელაშვილი, გიორგი მარგველაშვილი, ნესტან კირთაძე, გიორგი ლილუაშვილი და სერგო ჯავახიძე. დანარჩენების რეგისტრაციის საკითხი განხილვის პროცესშია, ცესკო-ს თავმჯდომარის მიერ საკითხის შესწავლისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის კანონით გათვალისწინებული ვადა 27 სექტემბერს იწურება”, - განაცხადა ეკა აზარაშვილმა.

საქართველოს მუსლიმთა კავშირი სააკაშვილის დავალებით შეიქმნა

მუსლიმთა კავშირი თურქეთის ისლამისტებისგან ფინანსდება და ამაში ხელს მათ სააკაშვილის მთავრობა უწყობს

მას შემდეგ, რაც სოფელ სამთაწყაროდან რელიგიურმა დაპირისპირებებმა სხვა რეგიონებში გადაინაცვლა, ბევრი ალაპარაკდა იმაზე, რომ პროცესი ყოფილი ხელისუფლების მიერ არის მართული და ვითარების დაძაბვა გარკვეული ძალების მხრიდან ხელოვნურად ხდება. ამ ფონზე ჟურნალისტი ვანო პავლიაშვილი ზესკანდალურ ინტერვიუს აქვეყნებს, სადაც საქართველოს მოქალაქე, ეროვნებით აზერბაიჯანელი ჟურნალისტი ნიაზ ჰუსეინოვი პირდაპირ აცხადებს, რომ საქართველოს მუსლიმთა კავშირი სააკაშვილის დავალებით შეიქმნა. ჰუსეინოვი ამჟამად ბაქოში მოღვაწეობს. მისი თქმით „საქართველოს მუსლიმთა კავშირი“ თურქეთის ისლამისტებისგან ფინანსდება და ამაში ხელს მათ სააკაშვილის მთავრობა უწყობს.

ნიაზ ჰუსეინოვი: „2004 წელს, სააკაშვილის დავალებით, შალვა ჟღენტმა ქვემო ქართლში, აზერბაიჯანული მოსახლეობის წინააღმდეგ ბინძური გეგმა შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც, ქვემო ქართლში უნდა მომხდარიყო ეთნოკონფლიქტი. მეტიც, სააკაშვილის დავალებითვე, შალვა ჟღენტი აზერბაიჯანულ მოსახლეობაში ანტიაზერბაიჯანულ პროპაგანდას ეწეოდა. მოგვიანებით კი, ქვემო ქართლისა და თბილისის მეჩეთები კავკასიის მთავარი შეიხის კონტროლიდან გამოიყვანეს, ე.წ. საქართველოს მუსლიმთა კავშირი შექმნეს და მეჩეთები მას ჩააბარეს.

ფაქტი: „საქართველოს მუსლიმთა კავშირი“ თურქეთის ისლამისტებისგან ფინანსდება და ამაში ხელს სააკაშვილის მთავრობა უწყობდა. საერთოდ, დღეს საქართველოში მუსლიმური ორგანიზაციების ნაწილი თურქი ისლამისტებისგან ფინანსდება, ნაწილი კი, - ვაჰაბისტების, ანუ საუდის არაბეთისა და ირანის რადიკალ-ისლამური ჯგუფებისაგან. არ ჯობდა, საქართველოს ისლამური ორგანიზაციები მხოლოდ კავკასიის მთავარი შეიხის მიერ ყოფილიყვნენ კონტროლირებადნი? საქართველოში რელიგიური ინციდენტების უკან „ნურცულარები“, ვაჰაბიტები და ირანული შიიტები დგანან. აზერბაიჯანი ხომ ტრადიციულ ისლამს მისდევს და არა - ფანატიკურს. ამიტომ საქართველოს მუსლიმი მოსახლეობისა და მეჩეთების აზერბაიჯანთან დაშორებით სააკაშვილმა ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა.

სააკაშვილი ახლა იძახის, კრემლი მოსკოვში მოღვაწე, „მილიარდერთა კლუბის“ დამფუძნებელ სოუინ სადიკოვს ილჰამ ალიევის წინააღმდეგ იყენებსო, მაგრამ დაავიწყდა, რომ ვანო მერაბიშვილის დახმარებით, სადიკოვთან კარგი ურთიერთობა დაამყარა? ამბობენ, სააკაშვილი აშშ-ს პროექტიაო, მაგრამ ის რუსულ-თურქული პროექტია - ამერიკელები მოატყუა და ჯორჯ სოროსს აჭარა შეპირდა, მაგრამ მერე, თურქ ისლამისტ მილიარდერს, ფეთუულაჰ გიულენს აჩუქა. იცით, ბაქოში, ერთ-ერთმა თურქმა სამხედრო მაღალჩინოსანმა რა მითხრა? - „სააკაშვილის ხელში ქარველები აჭარას დაკარგავენ. თურქეთი მალე გათავისუფლდება ისლამისტებისგან და ათათურქის პრინციპი აღდგება. სააკაშვილი კი, თავის ქვეყანაში „ნურცულარებს“ „აბლატავებს“. თუ ჰგონია, რომ ქართველები ამას აპატიებენ, ძალიან ცდება!“ - ნათქვამია ინტერვიუში.

შეგახსენებთ, უკვე მერამდენე თვეა, სამთაწყაროში მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლების მხრიდან პარასკევის ტრადიციულ ლოცვას აჟიოტაჟი ახლავს. ადგილობრივები აცხადებენ, რომ სოფელში მუსლიმი მრევლი თითქმის არ არსებობს და ლოცვებზე დასწრების სურვილი მხოლოდ სამ ოჯახს აქვს. მუსლიმთა სამმართველო კი ცდილობს წარმოაჩინოს, თითქოს მათ ვინმე ლოცვაში ხელს უშლის. გასულ კვირას მუსლიმებმა განაცხადეს, რომ ბათუმიდან და სხვა ქალაქებიდან იმამები დედოფლისწყაროში პარასკევის ლოცვის ჩასატარებლად აღარ ივლიან, რადგან მრევლი არ მოდის.

ილია მარტყოფლიშვილი

„ახალ სამედიცინო აპარატურას ამერიკა გადმოგვცემს“...

(პირველი გვერდიდან)

განადგურებულია ინფრასტრუქტურა და ინვესტორი ხელფასების გაცემასაც ვერ ახერხებს. ჩვენი საბოლოო მიზანია, დედოფლისწყაროელებისთვის ნორმალური ჰოსპიტალი შეიქმნას, რადგან დედოფლისწყაროელები სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფილნი იყვნენ და ამას ჩვენ უახლოეს მომავალში შევძლებთ.

– კიდევ ერთი კლინიკის მშენებლობა იგეგმებოდა დედოფლისწყაროში, „არქიმედეს გლობალ ჯორჯიამ“ საცხოვრებელი სახლიც დაანგრია და ტერიტორია მოასუფთავა, თუმცა თვეების განმავლობაში პროცესი შეჩერებულია... თუ ფლობთ ინფორმაციას, „არქიმედეს“ გეგმების შესახებ, რატომ აღარ გრძელდება სამშენებლო სამუშაოები...

– ზოგადად, საფუძვლიანი ეჭვი ჩნდება იმისა, რომ ეს ყველაფერი იყო ძალიან დიდი ტყუილი, თითქოს ვინმეს რაიმე უნდა აეშენებინა.

– ანუ წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი იყო?

– დღევანდელ დღემდე მოვედით და ვხედავთ, რომ არავის არაფერი გაუკეთებია და არც მშენებლობა დაუწყია. ამაზე საუბარი უხერხულია. ამიტომ, სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებს ვალდებულებას, საავადმყოფოს მშენებლობა საკუთარ თავზე აიღოს და ეს ძალიან მალე რეალობად იქცევა,“ - აღნიშნავს დედოფლისწყაროს გამგებელი.

შეგახსენებთ, ახლახან, საავადმყოფოების მუნიციპალიტეტებისთვის გადაცემასთან დაკავშირებით დედოფლისწყაროს გამგებელმა ჯანდაცვის მინისტრთან დავით სერგეენკოსთან შეხვედრა გამართა. შიოლაშვილი განმარტავს, რომ დედოფლისწყაროელ მედიკოსებს უკვე შეხვდა და მინისტრთან შეხვედრის დეტალებსა და სამინისტროს პოზიციაზე ინფორმაცია დეტალურად მიაწოდა.

ილია მარტყოფლიშვილი

„დირექტორის გამაფრთხილებელი წერილი არასწორად იყო ფორმულირებული, არამც და არამც არ უნდა ყოფილიყო ხაზგასმით ნათქვამი, რომ რუსული სექტორი ჩაიკვეცება და ამხელა ხმაურს თავიდან ავიცილებდით.“

ინფრასტრუქტურული სამუშაოები გრძელდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში დაწყებული ინფრასტრუქტურული პროექტები წარმატებით მიმდინარეობს. უკვე რამდენიმე ხანია, სოფელ ქვემო ქედში დაიწყო გზის რეაბილიტაცია. ამავე სოფელში წყალგაყვანილობის ახალი სისტემის მშენებლობა დაიწყო. ასეთი სახის სამუშაოები მიმდინარეობს სოფელ არხილოსკალოშიც.

ამავე სოფელში დასასვენებელი პარკიც მალე ახალ იერ-სახეს მიიღებს და ახალგაზრდების საყვარელ ადგილად იქცევა.

ხორნაბუჯში მიმდინარე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა და სოფლის რწმუნებულმა ტარიელ ღარიბაშვილმა მოინახულეს.

წნორი-დედოფლისწყაროს საავტომობილო გზის 24-30 კმ (ეგრეთ წოდებული ცალმხრივების) მონაკვეთზე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო. აღნიშნული პროექტით დაგეგმილია შირაქის ქუჩის გავლით სოფელ სამრეკლოს შესახვევამდე არსებული გზის სრული რეაბილიტაცია.

ცხოვრება ხელების გარეშე

ინტერნეტით ერთ დედოფლისწყაროელ აბიტურიენტს ვესაუბრები. გაკვირვებას მისგან პირველივე წერილის მიღების შემდეგ გამოვხატავ. ვინტერესდები, მართლა თვითონაა, თუ სხვა მწერს. აბიტურიენტი ყველასგან განსხვავებულია, (ყოველ შემთხვევაში, ვისაც მე ვიცნობ, მათ შორის). ჩემი დაბნეულობით ისიც გაკვირვებულია, მაგრამ ვუხსნი, რომ ვერ ვიჯერებ, რანაირად ახერხებს კომპიუტერთან ჯდომას, ინტერნეტში შესვლას და მითუმეტეს, წერილის გაგზავნას... მიხსნის, რომ კომპიუტერში წერილს ფეხის თითებით წერს. არ გეგონოთ, ჩემი რესპონდენტი სატელევიზიო შოუ „ნიჭიერის“ მონაწილეების მსგავსად, უჩვეულო ნიჭით და უნარ-ჩვევებით გამოირჩეოდეს და ფეხის თითებით ვინმეს გასაოცებლად წერდეს. უბრალოდ, სხვა შესაძლებლობა არ აქვს, სხვაგვარად წერას ვერ მოახერხებს.

წლების წინ სწორედ გაზეთ „შირაქიდან“ გავიგე, რომ ამ ბავშვს ცხოვრება ორივე ხელის გარეშე უწევდა. თუმცა, სოფელ არბოშიკში მცხოვრები გიორგი ხიზანიშვილი ფიზიკური ნაკლით არ დაბადებულა. სრულიად ჯანმრთელმა 9 წლის ასაკში მორიგი ბავშვური ანცობის დროს ორივე ხელი უბედური შემთხვევის დროს დაკარგა.

გიორგი რამდენიმე დღის წინ სტუდენტი გახდა. ის სწავლას თბილისის სასულიერო აკადემიაში, ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე გააგრძელებს. მაინტერესებს, როგორ ახერხებს ხელების გარეშე განათლების მიღებას, დამოუკიდებლად გადაადგილებას, საკვების მიღებას და ა.შ. დღევანდელ ყოფა-ცხოვრებაში სირთულეების გადალახვა სრულიად ჯანმრთელ ადამიანებსაც უჭირთ, მით უფრო, საინტერესოა, როგორია ცხოვრება ხელების გარეშე. ამიტომაც ცნობისმოყვარეობას ვერ ვიოკებ, უამრავ კითხვას ვუსვამ და იქვე ბოდიშს ვუხდი, რომ უხერხული კითხვების დასმა მიწევს. თემა ჩემთვის იმდენად მძიმეა, თავს ვერ ვაბამ, არ ვიცი, საიდან დავიწყო. აქვე გამოგიტყდებით, მასალის მომზადება ასე არასოდეს გამჭირვებია.

ჩემდა გასაკვირად, რესპონდენტი ძალიან გულწრფელი, კომუნიკაბელური და გახსნილი აღმოჩნდა, საუბრის დაწყებამდე უფრო სხვაგვარად წარმომედგინა. გიორგიმ მომხდარზე ღიად ისაუბრა და არც დეტალების გახსენებას მიერიდა.

გიორგი ხიზანიშვილი: „ტაძარში პატარაობიდან ხშირად დავდიოდი, მერე ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა (ხელებს ვგულისხმობ). ამის გამო რთული პერიოდი მქონდა და აღარც ეკლესიაში დავდიოდი. ზოგადად, ამ დროს ძალიან ჩავიკეტე. მერე რაღაც პერიოდის შემდეგ ისევ დავიწყე სარული და არბოშიკის კვირიკეს ტაძრის მოძღვარმა მამა ლევანმა შემომთავაზა, რადგან ტაძარში ხშირად დადიხარ, შეგმოსავო. გამიჭირდა ამ ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ მაინც დავთანხმდი. სტიქაროსნობა ჩემთვის ღვთის დიდი საჩუქარია და მე ამით ბედნიერი ვარ. დიდი პასუხისმგებლობა უნდა გაგაჩნდეს, თან არ ვიყავი მზად ამისთვის, სრულიად მოულოდნელი იყო ჩემთვის.

- ვიცი რთული, მაგრამ იქნებ შეეცადო, მომხდარი გაიხსენო...

- 2003 წლის 30 დეკემბერი იყო და ბიძასთან ვიყავი წასული. მე და ჩემი და ვთამაშობდით, იქვე იყო ტრაქტორი, საიდანაც წყალს ტუმბავდნენ. ამ დროს ჯოხი ძირს დაეცა, დავაპირე ამომეღო და ტრაქტორის ნაწილმა ჩამითრია. მეორე ხელი მივახმარე და ისიც ჩაითრია. სამწუხაროდ, ორივე კიდურის ამპუტაცია გახდა აუცილებელი და დღეს არცერთი ხელი აღარ მაქვს.

- რამდენად რთული აღმოჩნდა ახალ რეალობასთან შეგუება?

- ეს ჩემთვის ძალიან მძიმე იყო, მქონდა გაუცხოება. საზოგადოებასთან ყოფნა არ მიყვარდა. როდესაც ყველა მე მიყურებდა და ჩურჩულებდნენ, ვლიზიანდებოდი. ამიტომ, საზოგადოებაში გასვლას ვერიდებოდი. ასევე, თანატოლი ბავშვების მიმართ ძალიან აგრესიული ვიყავი. გულწრფელად რომ გითხრათ, თავის ხელში აყვანა ძალიან გამიჭირდა.



„ბავშვობის ოცნებაა ფორტეპიანოზე დაკვრა და ცეკვა!.. ვგიჟდები ისე მინდა, მაგრამ ვეგუები, რომ ვერ ვახერხებ“

- ვისი თანადგომა დაგეხმარა, საკუთარ თავში კომპლექსი დაგეძლია?

- ამის დაძლევაში, ძირითადად, ჩემი მშობლები, ახლობლები და რაც მთავარია, მეგობრები დამეხმარნენ. ასევე დიდი როლი ითამაშა ეკლესიამ და ჩემმა სულიერმა მოძღვარმა. რაღაც პერიოდის შემდეგ მივხვდი, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლებოდა და ამ ადამიანების გვერდში დგომით ვითარების დაძლევა შევძელი. ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეივალა. ჩვეულებრივი ურთიერობა დავიწყე მეგობრებთან და ყველასთან... რაც მთავარია, კომპლექსი დავძლიე. ჩემთან ერთად ამ ფაქტს ყველა შეეგუა და მეც ისეთი სრულყოფილი ადამიანი გავხდი, როგორც მანამდე. თუ შეიძლება ითქვას ასე...

- საინტერესოა, განათლების მიღებას როგორ ახერხებ ხელების გარეშე?

- სკოლაში ჩანთა ყოველთვის დამქონდა. ბოლო წლამდე იქ კი კლასელები და მასწავლებლები მეხმარებოდნენ. ნივთების მოხმარებას მათი დახმარების გარეშე, დამოუკიდებლად, ცხადია, ვერ შევძლებდი. სახლში კი ამ ყველაფერში მშობლები მეხმარებოდნენ და მეც ჩვეულებრივ ვწერდი დავალებებს და ა.შ. დღემდე ყველა მეხმარება კვების დროს, სამწუხაროდ, ბევრ რამეს სხვა ადამიანების მსგავსად, დამოუკიდებლად ვერ ვახერხებ და დამხმარე მჭირდება.

- მოდი, გულწრფელად მითხარი, რაში გაფერხებს, რისი გაკეთება გინდა ყველაზე მეტად და ხელების გამო ვერ ახერხებ?

- პირველ რიგში, ჩემი ბავშვობის ოცნებაა ფორტეპიანოზე დაკვრა და ცეკვა!.. ვგიჟდები, ისე მინდა ამას ვახერხებდე, მაგრამ ვეგუები, რომ ვერ ვახერხებ. სხვა არაფერზე ისე არ მწყდება გული, როგორც ამაზე. ასევე, წერა მიყვარს და ხელების გამო ვერ ვწერ, თუმცა სხვათაშორის, ფეხის თითებით თავისუფლად ვწერ. ალბათ, ყველაფერი მიჩვევაა. ისე გავიწაფე ფეხით წერაში, აღარ მიჭირს და უკვე სწრაფად ვახერხებ. ნოუთბუქი მაქვს, იატაკზე ვდებ და ასე შევდივარ ინტერნეტში.

- სულ ახლახან გაირკვა, რომ უკვე სტუდენტი გახდი, რა ნიშნით აარჩიე მომავალი პროფესია?

- ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობაა, რაზეც მე ჩავაბარე, პატარაობიდანვე ძალიან მიყვარდა. სკოლაში ხელოვნების გაკვეთილები ყოველთვის განსაკუთრებულად მაინტერესებდა, კარგად ვსწავლობდი და 10-იანებსაც ვიღებდი. ამჯერად ყველა გამოცდა ჩავაბარე და ნორმალური შედეგი მაქვს. დიდი ენთუზიაზმით ვიწყებ სტუდენტობას, ვიცი, რომ სწავლის დაწყებისთანავე სემინარის ახალი სტუდენტები საქართველოს პატრიარქს შევხვდებით.

- თავდაპირველად, მახსოვს პროთეზები გქონდა...

- პროტეზები პირველად ერთ-ერთმა ფონდმა დამიფინანსა, მეორედ კი სახელმწიფომ. პირველად 1 ხელი გამიკეთეს და ისიც ორკაპი, თუმცა, ძალიან პრიმიტიული იყო. თითქმის, ვერაფერს ვაკეთებდი და მეორედ ორივე ხელი დამიმონტაჟეს, მაშინ კი მხოლოდ ჭამას ვახერხებდი.

- ახლა უკვე, როცა მომხდარს აანალიზებ, რა განცდა გაქვს?

- ძალიან ბუნებრივად ვუყურებ იმ ფაქტს, რაც შემემთხვა. ვთვლი, რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო.

რაც მთავარია, კომპლექსი დავძლიე. ჩემთან ერთად ამ ფაქტს ყველა შეეგუა და მეც ისეთი სრულყოფილი ადამიანი გავხდი, როგორც მანამდე.

ილია მარტყოფლიშვილი

განათლების სამინისტრო - რეგიონებში 9 ახალი სკოლის მშენებლობა დაიწყება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თამარ სანიკიძის განცხადებით, რეგიონებში ცხრა ახალი სკოლა აშენდება, მათ შორის საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოშიც, სადაც სწავლა უკვე ექვსი წელია ბოსელში მიმდინარეობს. მინისტრის განცხადებით, სამშენებლო სამუშაოების დაწყება 2013 წლის ნოემბრის ბოლოდან იგეგმება.

სამინისტროს ინფორმაციით, ლამბალოს გარდა, დანარჩენი რვა ახალი საჯარო სკოლა შემდეგ სოფლებში აშენდება: ქარელის რაიონის სოფელ აბანოში სკოლა 90 მოსწავლეზე; თეთრიწყაროს რაიონის სოფელ სამღერეთში სკოლა 144 მოსწავლეზე; ზესტაფონის რაიონის სოფელ სადგურ სვირში სკოლა 120 მოსწავლეზე; მარნეულის რაიონის სოფელ ახალ დიოკნისში სკოლა 144 მოსწავლეზე; მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში სკოლა 240 მოსწავლეზე; ჩოხატაურის რაიონის სოფელ წიფნარში სკოლა 60 მოსწავლეზე; მცხეთის რაიონის სოფელ წილკანში სკოლა 450 მოსწავლეზე; ახალქალაქის რაიონის სოფელ ბუღაშენში სკოლა 120 მოსწავლეზე.

სამინისტროს ცნობით, ამ ეტაპზე დასრულებულია სამი სოფლის ლამბალოს, სამღერეთისა და ახალი დიოკნისის საჯარო სკოლების საპროექტო სამუშაოები, ასევე პროცესშია საპროექტო და მოსამზადებელი სამუშაოები დანარჩენ ექვს სკოლაში.

„გეგმის თანახმად, წილკნის, მუხრანისა და აბანოს საჯარო სკოლები კონტიგენტს უკვე მომავალი სასწავლო წლიდან მიიღებენ. ხოლო 2014 წლის ბოლოს დასრულდება ბუღაშენის, ახალი დიოკნისის, სამღერეთის, სადგურ სვირისა და წიფნარის საჯარო სკოლების მშენებლობაც. რაც შეეხება სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლას, პროექტის მასშტაბიდან გამომდინარე, სამუშაოები წელიწადნახევარს გასტანს. სამინისტრო აღნიშნულ სამოქმედო გეგმებს ცხრავე სოფლის მოსახლეობას ადგილზე გააცნობს“, — განაცხადა მინისტრმა.

სკოლების ასაშენებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 23 მილიონი ლარი გამოიყოფა.

„სოფლის სიყვარულით ვცხოვრობ“



სოფელ გამარჯვების კოლორიტი ზურაბ ბიკაშვილი იუბილარია. ის ამ დღეებში 65 წლის შესრულდა, გაზეთი „შირაქი“ მასთან სასაუბროდ სოფელ გამარჯვებაში ჩავიდა. მკითხველს შევახსენებთ, რომ ზურაბ ბიკაშვილის ცხოვრება გამორჩეულია მისი მრავალმხრივი შემოქმედებით. იგი 35 წელი სოფელ გამარჯვების კულტურული ცხოვრების ფერხულში იყო ჩაბმული, 1973 წლიდან 2007 წლამდე გამარჯვების კულტურის სახლის დირექტორი გახლდათ. პარალელურად იყო წითელწყაროს სახალხო თეატრის და ასევე თოჯინების თეატრის მსახიობი, მისი მონაწილეობით დაიდგა არაერთი სპექტაკლი, როგორც თავად სოფელში, ასევე რაიონის მასშტაბით ნათამაშები აქვს არაერთი როლი, იყო სოფელში სპორტული ახალგაზრდული წრეების ხელმძღვანელი და აქტიური მიმდევარი. მისი თაოსნობით სოფელ გამარჯვების კულტურის სცენაზე არაერთი ლამაზი ღონისძიება გამართულა, მათ შორის დღეს უკვე აღარ არსებულ სცენაზე სუხიშვილების ანსამბლსაც უცეკვია. ზურაბ ბიკაშვილის დროს სოფელ გამარჯვებაში კულტურული ცხოვრება დუღდა, მისი ინიციატივით და მოწვევით სოფლის ახალგაზრდებს ყოველთვის ჰქონდათ გიტარის, ფანდურის,ცეკვის, თუ ხალხური სიმღერების წრეზე სიარულის შესაძლებლობა,ასე, რომ ამ ადამიანის ცხოვრება და მოღვაწეობა მისი სოფლისა და რაიონის ცხოვრების ნაწილია, რასაც უკვალოდ არ ჩაუვლია. დღეს უკვე ღვანლმოსილ კულტურის მუშაკს თავისი მოქალაქეობრივი შეგნება აიძულებს დარჩეს თავისი პროფესიის ერთგული მსახური და ის სრულიად უანგაროდ აგრძელებს სოფელში ამ მხრივ აქტიურ კულტურულ თუ სპორტულ შემოქმედებით მოღვაწეობას. ყველა სიკეთესთან ერთად ზურაბ ბიკაშვილი სოფლის საუკეთესო თამადაცაა.

- ბატონო ზურაბ, უპირველესად მოგვიყევით თქვენი ბავშვობის შესახებ.

- დავიბადე 1948 წლის 8 სექტემბერს, სოფელ გამარჯვებაში, დედას ქეთევანი ერქვა. უსაზღვროდ მიყვარდა დედა, ის ჩემი კულტი იყო, ახალგაზრდა გარდამეცვალა და მისი წასვლით გამოწვეული გულის ჭრილობა დღემდე ტკივილად მომყვება. მამას ზაქარია ერქვა, ჩემი მშობლები გლეხები იყვნენ, საკოლმეურნეო საქმეში იყვნენ ჩართულები და დღე და ღამ მუშაობდნენ,რომ ოჯახი ერჩინათ. მდიდრები არასოდეს ვყოფილვართ, მაგრამ ჩვენს ოჯახში სულიერი სიმდიდრე უფრო ფასობდა,რითაც ნამდვილად ვიყავით მდიდარნი. სამი დედმამიშვილი ვიყავით, მე ნაბოლარა გახლდით და ყოველთვის მანებივრებდნენ, ყველას ვუყვარდი და მეფერებოდნენ. ძალიან ცელქი და მოუსვენარი ვიყავი, დედა მუდამ სოფლის სტადიონზე მაკითხავდა, რომ სახლში წავეყვანე და საჭმელი მეჭამა. სკოლის წლები ძალიან კარგად მახსენდება, გამორჩეულად არ ვსწავლობდი, საშუალო მოსწავლე ვიყავი, როცა ზედა კლასებში გადავედი, მაშინ კულტურის სახლში ჯგუფი გახსნეს, წარმოდგენებს მართავდნენ, დამიძახეს ამ წრეზე და როლი მომცეს, სწორედ მაშინ შემეყარა სცენის სენი. სკოლის მერე წნორის სახალხო თეატრში მიმიწვიეს მსახიობად, ეს იყო 1969- 70-იანი წლები, იქაც როლებს ვირგებდით, ძალიან საინტერესო იყო როლებზე მუშაობის პროცესი, ყოველ შემთხვევაში, მე ეს საქმე ძალიან მიზიდავდა. აქ ვგრძნობდი თავს სრულყოფილად. მათი ინიციატივითვე გავიარე თბილისის თეატრალური კურსები. მალე ჯარში წავედი. უკრაინაში, ხარკოვში მოვიხადე სამხედრო სამსახური, იქ გატარებული წლები სასიამოვნო მოგონებად დამრჩა, კარგი ხალხი იყო, მათ მოსავლის აღების ცერემონიალშიც ბევრჯერ მიმიღია მონაწილეობა.

- კულტურის სფეროში მრავალი წელი გაქვთ გატარებული, როგორ დაუბრუნდით თქვენ საყვარელ საქმეს?!

- 1973 წელს, როცა ჯარიდან ახლად დავბრუნდი, ვანო ფიროსმანაშვილმა დამიძახა და ტარიბანაში ერთ-ერთი საწყობის გამგედ დამნიშნა. ერთი წელიც არ იყო გასული ამ ამბიდან, რომ კვლავ ფიროსმანაშვილისვე დავალებით გამარჯვების კულტურის სახლის დირექტორად დავინიშნე, მითხრა,- „შენ მინდვრის და საწყობის კაცი არ ხარ, შენი ადგილი აქააო, აგერ შენ და აგერ შენი კულტურის სახლი, ჩაიბარე და მიხედეო!“-ამაზე კარგი რაღა უნდა შემოეთავაზებინათ ადამიანისთვის, რომელსაც ერთდროულად თავისი სოფელიც უყვარდა და კულტურაც. სიხარულით შევუდექი მუშაობას.

- როგორ განვითარდა შემდგომი მოღვაწეობის წლები და რა მოგიტანათ იმ სფეროში სფეროში მუშაობამ, რომელიც თქვენი მოწოდება იყო?!

- იმავე დღიდან, როცა სოფლის კულტურის სახლი ჩავიბარე, მოვითხოვე პედაგოგები და გავხსენი გიტარის, ფანდურის, ცეკვის წრეები, სადაც ჩვენივე სკოლიდან ბავშვებს ვარჩევდით და ვიღებდით წრეებზე, ძალიან ძლიერი ჯგუფი გვყავდა, პარალელურად ჩავერთე რაიონის სახალხო თეატრის და თოჯინების თეატრის მსახიობად, გამარჯვების კულტურის სახლის შენობაში კარლო გოგაშვილის ხელმძღვანელობით ჩამოდიოდა ჩვენი დასი და მიმდინარეობდა როლების დამუშავება. ამ თეატრმა გამაცნო და დამაახლოვა სახალხო არტისტებთან : გივი ბერიკაშვილთან, ლია ელიავასთან, ლეილა აბაშიძესთან, ირაკლიუჩანეიშვილთან, რაიონის ვაჟთა ანსამბლ „ხორნაბუჯთან“ ერთად გვქონდა გასტროლები ბულგარეთში,სადაც სიგელები და დიპლომები გადმოგვცეს თითოეულ მონაწილეს, ასევე გახლდით სტალინგრადში, ახლანდელ ვოლგოგრადში, მოვლილი გვაქვს მთელი საქართველოს დასავლეთი და აღმოსავლეთი, სპექტაკლებს ვატარებდით მინდვრად მომუშავე ჩვენი მეურნეებისთვის, ძალიან საინტერესო ცხოვრება განვვლე და მე ამით ბედნიერი ვარ. ჩემი სოფლის ნაკრები ძალოსნები მყავდა სოხუმში პირველობაზე, სად აღარ ვყოფილვართ, უამრავი მადლობის წერილი მოსულა კულტურის სამინისტროდან ჩემს სახელზე და უამრავი დიპლომი მიგვიღია სპორტული შეჯიბრებებიდან. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, არ ვთვლი, რომ ფუჭად ჩაუვლია ჩემს ცხოვრებას.

- რა მოხდა შემდეგ, დღეს თითქმის ყველა სოფელს, ასე თუ ისე ჰყავს კულტურის მუშაკები, თქვენს სოფელში რატომ გაუქმდა ეს შტატი და რატომ დაკარგეთ სამსახური?

-2007 წელს დამიბარეს რაიონის კულტურის სახლში და მითხრეს, -მიმდინარეობს შტატების შემცირება და გთხოვთ დაწეროთ განცხადებაო. დავწერე, რას ვიზამდი, თუმცა გულწრფელად გითხრათ, ეს ჩემთვის სიკვდილის ტოლფასი იყო, საკუთარ საქმესთან მოშორება და მოწყვეტა ასე ადვილი არ იყო, თანაც საპენსიო არ ვიყავი და ჯერ კიდევ ახალგაზრდას შემოსავლის წყაროც შემიწყდა. ძალიან ძნელი იყო ამ ყველაფერთან შეგუება, მაგრამ გადავიარე. ცხოვრება გრძელდება.

- რამდენადაც ვიცი, თქვენი წამოსვლის შემდეგ გამარჯვების კულტურის სახლი საერთოდ დაიშალა და განადგურდა, როგორია ამ ეტაპზე შენობის მდგომარეობა?!

- ჩემი წამოსვლის მერე გამარჯვების კულტურის სახლმა დაკარგა თავისი ფუნქცია, ფაქტიურად, აღარაფერს აღარ უფუნქციონირია იქ, დაიშალა წრეები, ყველაფერი და მათ შორის შენობაც სულ განადგურდა და გაპარტახდა. გული მიკვდება- ხოლმე ახლა, გახედვაც არ მინდა იქით, ისეა დაშლილი შენობა. დღესაც, თუ რაიმე კულტურული ღონისძიებაა ჩასატარებელი, მე მეძახიან, ისევ მე ვაბავ თავს და ისევ მე ვუძღვები, თუმცა ამჯერად უკვე ჩემი საქმისადმი სიყვარულის და ენთუზიაზმის საფუძველზე ვაკეთებ ამას.

- დღევანდელი გადასახედიდან როგორ უყურებთ განვლილ 65 წელს, რა შეფასებას მისცემდით თქვენს ცხოვრებას?!

- მე ვფიქრო,ბ უფრო მეტი შემეძლო მეკეთებინა და ვნანობ. იცით, მთელი ჩემი ცხოვრება ორი რამ მიყვარდა -სპორტი და კულტურა, ვერცერთს ვერ შეველიე, ორივე ძალიან მიყვარდა და ამიტომაც ჩემს თავს ვეუბნები- ხოლმე, ვერც დიდი სპორტსმენი გამოვედი და ვერც დიდი მსახიობი- მეთქი. აი, ამაზე მწყდება გული. ერთი რამ ვიცი, სოფელში ყველასთან მიმესვლევინება, დიდსა თუ პატარას მეგობრად მივიჩნევ, ყველა მიყვარს, ყველას ვუყვარვარ, ჩემი სოფლის უსაზღვრო პატრიოტი და ადამიანების მოყვარული კაცი ვარ,ყოველი დღე ჩემი სოფლის სიყვარულით ვცხოვრობ, სოფლისგანაც ვგრძნობ პატივისცემას და თანადგომას, ამაზე მეტი რაღა უნდა ინატროს კაცმა?!

- ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას რას გაიხსენებდით თქვენი მოღვაწეობის მანძილზე?!

- 1986 წელს გამარჯვების კულტურის სახლში ნინო რამიშვილი ჩამოვიდა და სუხიშვილების ანსამბლმა იცეკვეს ჩვენს სცენაზე, ეს იყო სუხიშვილების ისტორიაში პირველი შემთხვევა, როგორც თავად ქალბატონმა ნინომ მითხრა, როდესაც მათმა ანსამბლმა სოფლის სცენაზე იცეკვა. მე თავად გახლდით ნინო რამიშვილთან და თავად მოვიწვიე ლეგენდარული ანსამბლი. მახსოვს, რუსულად მიპასუხა ნინომ,-„ზურაბ, ჩვენ სოფლის სცენაზე არასოდეს ვცეკვავთ, მაგრამ რადგან თქვენ მოხვედით აქ და შეგპირდით, მე ტყუილს არასოდეს ვამბობ, ჩვენ აუცილებლად ჩამოვალთ!“- და მართლაც ჩამოვიდნენ, ეს იყო სოფლის ისტორიაში წარმოუდგენელი სამახსოვრო დღე. მთელი სოფელი მოვიდა, დიდი და პატარა ფეხზე იყო, ულამაზესი დღე იყო ჩემს ცხოვრებაშიც.

მეორე, რასაც მოვიგონებ, ესაა ვიტალი დარასელიასთან ჩემი ნაცნობობა, მან მე ბურთი მაჩუქა სამახსოვროდ, ხშირად ჩავდიოდი მასთან, მოსკოვშიც მივყვებოდი საგულშემატკივროდ დარასელიას, მერე, როცა დაილუპა მისი გადიდებული ფოტო მქონდა კუთვნილ ავტომობილში გაკრული, წლები ვატარე ის ფოტო და მთელი რაიონი მცნობდა იმით, რომ მე მანქანით ვიტალის გადიდებულ ფოტოს დავატარებდი.

- ბატონო ზურაბ, არჩევნები მოახლოვდა და პოლიტიკური ფონიც ძალიან გააქტიურდა, ახლა თითქმის ყოველი მეორე ადამიანი პოლიტიკის ენით საუბრობს, თქვენი აზრი და შეფასებები მაინტერესებს ქვეყნის განვითარების კუთხით!

- პოლიტიკაში აქტიური არასოდეს ვყოფილვარ, ადრე როცა“მოქალაქეთა კავშირი“ შეიქმნა და მე იქ გავწევრიანდი, მერე სულ მაბრალებდნენ, რომ შენ მოქალაქეთა კავშირის წევრი იყავი და რატომ იყავიო, რა ვიცი, მაშინ ყველა მოქალაქეთა კავშირში იყო და რაღა ჩემი გაუკვირდათ?! ახლა ასე ვარ, ვენაცვალე, იმას ვინც ხელისუფლებაშია, მე ყოველთვის მხარს ვუჭერდი და მხარს დავუჭერ იმას, ვინც ჩემი სოფლის ჭრილში საქვეყნო საქმეს გააკეთებს, ვინც ჩემი სოფლის ჭირ-ვარამს გაიზიარებს და გულთან ახლოს მიიტანს, ყველას გამარჯვების გზით სიარულს ვუსურვებ მთელი ცხოვრების მანძილზე, ჩემი საყვარელი სიტყვები სწორედ ესაა,- „გამარჯვების გზით გევლოთ!“ ერთი ეგაა, ყველა ადამიანმა უნდა შეიგნოს, თავად რომ ითხოვ მთავრობისგან, და მერე იძახი, რა ჩემი საქმეაო, ესე არ უნდა იყოს- ქვეყნის ნაწილი თუ ხარ, რა ჩემი საქმეაო, ეს აღარ უნდა თქვა, შენ რომ ითხოვ, თავადაც უნდა მიიღო მონაწილეობა ერთი აგურის მშენებლობის საქმეში, აი, მაშინ ხარ სრულყოფილი მოქალაქე ამ ქვეყნის! მე, ჩემი მეობით ერთი პატარა ჭანჭიკი ვარ ჩემი ქვეყნის და თუ ჩემს ქვეყანას დავჭირდი, ყოველთვის მზად ვარ მის სამსახურში!

- რას უსურვებდით ქართველ ხალხს?

- ქართული გენი არ წაიშალოს, არ აყვნენ მავნე ტრადიციებს, იყვნენ ნაღდი სასახელო ქართველები და იარონ ლამაზად მთელი ცხოვრების მანძილზე. სამი შვილის და ხუთი შვილიშვილის პაპა ვარ, ბედნიერი პაპა, თავს მეხვევიან ნინიკო, ლიკუნა, მიმოზა, მარი, სალომე. წელს ერთი შვილიშვილი სტუდენტი გამიხდა. სიყვარულით ევლოთ ჩემს დანატოვრებს და მთელს ჩემს ერს, მოვეფეროთ ერთმანეთს და ეს სიყვარული გაგვაძლიერებს, აი, ეს მინდა ვისურვო.

კადრი სპექტაკლიდან „საბრალდებო დასკვნა“

ეს ჩანაწერი, ჩემო მკითხველო, რაიონის დამსახურებულ კულტურის მუშაკს ზურაბ ბიკაშვილს 65 წლის იუბილის აღსანიშნავად მივუძღვენით. ის, თუ როგორი მუშაკი იყო ბიკაშვილი, ამაზე კულტურის განყოფილების ყოფილ გამგეს ნელი გობეჯიშვილს ვკითხეთ, რომელიც უკეთ იცნობდა ამ კაცს.. აი, როგორ დაახასიათა მან ჩვენი რესპოდენტი: ***„ზურა საოცრად გულისხმიერი, კეთილსინდისიერი, მეგობრული პიროვნებაა. იუმორით სავსე მისი გამონათქვამია: „სულ გამარჯვებით გევლოთო“, დალოცვის გარდა გულისხმობდა სოფელ გამარჯვებაზე გავლას. ამაყობს, რომ პაპაა და მართლაც კარგი პაპა. იშვიათად ბრაზობდა , მხოლოდ სახეზე ვატყობდი, როცა რაღაც ეწყინებოდა. არასოდეს ავიწყდებოდა 8 მარტის მოსვლა, სოფელში თავის ხელით დაკრეფილი იები მოჰქონდა. მხოლოდ კარგი მახსენდება და ყოველთვის მიხარია მასთან შეხვედრა. ვულოცავ დაბადების დღეს და ვუსურვებ „სულ გამარჯვების გზით სიარულს“*** - პატივისცემით ნელი გობეჯიშვილი.

ლალი მეხრიშვილი.

სკოლა



ადრე, როცა საქართველოს რომელიმე კუთხეს მტერი შემოესეოდა, ზარებს შემოჰკრავდნენ ხოლმე, მთაში კი კოცონს ანთებდნენ, რომ ერთი მთის წვეროდან მეორე კოშკზე მჯდომ დარაჯს შეემჩნია მოახლოვებული საშიშროება.

დღეს ერთი ამგვარი მტერი აბსტრაქტული ცნებაა, კერძოდ, ერის მამოძრავებელი ღერძის — მოზარდების ზნეობრივი გადაგვარების საშიშროება. ეს საშიშროება ძალიან რეალურია და თავიდან ვერ ავიცილებთ, თუ ძალიან გონივრულად არ მივუდექით ამ საკითხს. ჩვენი დღევანდელი მოვალეობაა კოცონის დანთება, ზარების დაუღალავი რეკვა.

ამ პრობლემის გაჩენასა და მოუგვარებლობაში ოჯახსა და სკოლასაც მიუძღვის ბრალი (თუმცა, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელისუფლების ძალისხმევას, რადგან მის ხელშია ამ პრობლემის მოგვარებისათვის საჭირო თითქმის ყველა ბერკეტი).

რატომ დავიწყე ასე შორიდან?

მთელ საქართველოში და მათ შორის რეგიონებშიც, იგივე საზოგადოებას ძალიან კარგად შეუძლია განსაჯოს, გაკიცხოს ვინმე.... მაშინ, როცა თავადაა ამ ყველაფრის მონაწილე. ჩვენ თავად ვუშავებთ ჩვენს შვილებს, ნებსით თუ უნებლიეთ. ცხადია, ეს ყველაზე არ ითქმის, მაგრამ საკმაოდ ბევრია ისეთი შემთხვევა, როდესაც მშობელი სახლში, შვილების გასაგონად, მათი თანდასწრებით არასწორ ღირებულებებს მიიჩნევს ნორმად. სწორედ აქ იწყება ბავშვის მიმართ ჩადენილი პირველი დანაშაული.

საზოგადოება

შემდეგ კი მოდის სკოლა, სადაც ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი... ერთი შეხედვით კომფორტული პირობების მიღმა სათანადო ყურადღება არ ექცევა მოზარდის აღზრდას...მოზარდის ფსიქოლოგიაზე საერთოდ არ მუშაობენ, ხშირია ძალადობის ფაქტები, როგორც მასწავლებელთა მხრიდან, ასევე მოზარდთა შორისაც. სკოლის დამთავრების შემდეგ ხშირ შემთხვევაში მოზარდი ყალიბდება როგორც პოტენციური კრიმინალი. ფაქტი სახეზეა: ქვეყანაში საგანგაშო სიტუაციაა: ახალგაზრდების თითქმის ნახევარი ან უკვე ნასამართლევია, ან ეხლა მოხვდნენ ციხეში. როგორ უნდა გამოსწორდეს არსებული სიტუაცია და რა არის ამისთვის საჭირო? ფსიქოლოგები ამბობენ, რომ პრობლემის მოგვარებისთვის საჭიროა სამივე რგოლის-სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების გაერთიანება და თანამშრომლობა.

ისმის კითხვა: როგორ უნდა თანამშრომლობდეს ოჯახი, სკოლა, საზოგადოება?

ბავშვები სკოლაში ცოდნითა და უკვე შეძენილი უნარ-ჩვევით მოდიან. მათ გარკვეული წარმოდგენა აქვთ ქცევის წესებზე, სოციალურ წესჩვეულებებზე და სხვებთან ურთიერთობის დასამყარებლად ერთგვარი სტრატეგიაც გააჩნიათ. ინდივიდის ჩამოყალიბების საფუძველი, როგორიცაა საკუთარი "მეს" შეგრძნება და სამყაროსადმი დამოკიდებულებაც უკვე ამ ადრეულ წლებში ყალიბდება. მშობლები ბავშვის პირველი მასწავლებლები არიან.

რა ქმნის ოჯახს? დღევანდელ ცვალებად საზოგაოებაში ოჯახურ ერთობას მრავალნაირად საზღვრავენ. ოჯახები ისევე გავნსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც ამ ოჯახის წევრები. ოჯახს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც მას ბავშვზე უდიდესი ზემოქმედების მოხდენა შეუძლია. მშობელი ბავშვისთვის პირველი მაგალითია, ვისგანაც მათ პრობლემის გადაჭრის, თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების გადმოღება შეუძლიათ. მშობლები გამიზნულად მოძღვრავენ თავიანთ შვილებს, რომ ისინი ოჯახისა და შემდეგ, საზოგადოების წევრები გახდნენ. ყველა ოჯახს წარმატება და ბედნიერება სურს საკუთარი შვილებისათვის. მშობლებს შეუძლიათ განაპირობონ საკუთარი შვილების წარმატება მათი ინტერესების გათვალისწინებით და მათში იმ თვისებების დაფასებით, რომლებსაც საკუთარ თავში აფასებენ. მშობლები თავიანთი შვილებისთვის ისეთსავე ფართო მიზნებს ისახავენ, რასაც მასწავლებელი ყველა ბავშვის წინაშე აყენებს.

მშობლებსა და სკოლას ერთობლივი პასუხისმგებლობა აკისრიათ ბავშვისათვის წარმატების მომტანი გარემოს შექმნაში და ზრდა-განვითარების ყველა სფეროში. სკოლა ის ადგილია, სადაც მასწავლებელი და მშობელი ერთად იმუშავებენ. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ასეთი ერთიანობა ხელს უწყობს ბავშვის ზრდას, როგორც პიროვნული, ასევე აკადემიური მოსწრების თვალსაზრისით. სკოლას და სახლს შორის დამყარებული პოზიტიური, მეგობრული ურთიერთობა ყველა ბავშვისთვის სარგებლის მომტანია. მოსწავლე უნდა გრძნობდეს, რომ პასუხისმგებლობა მის კეთილდღეობაზე, აკისრია, როგორც სკოლის კოლექტივს, ასევე მშობლებს.

დღევანდელი საყოველთაო საყოფაცხოვრებო პრობლემებიდან გამომდინარე, ურთიერთ კავშირი სკოლა-ოჯახი-საზოგაოება ირღვევა. მშობელი ნაკლებად იცლის სკოლასთან თანამშრომლობისათვის. მათი ინერტულობა მასწავლებელს არ აძლევს საშუალებას სხვადასხვა საინტერესო საქმიანობები და პროექტები განახორციელოს, რაც მოსწავლეებთან მომუშავე ერთი მოზრდილი ადამიანისათვის შეუძლებელია. მშობლების მონაწილეობა სასწავლო პროცესის წარმართვაში იძულებითია. ძნელად გადასაჭრელი პრობლემის წარმოშობისთანავე მთელ პასუხისმგებლობას მშობელი სკოლის დირექციას და მასწავლებელებს აკისრებს. თუმცა, ერთ-ერთი ძირითადი პასუხისმგებელი თითონაცაა, თავს არიდებს სკოლის კოლექტივთან ერთად მონახოს ამ პრობლემის გადაჭრის გზები და საშუალებები. მშობელს არ სურს გააცნობიეროს, რომ საკუთარი შვილის, სკოლის ცხოვრების ნაწილია და საზოგადოებრივი ერთობის წევრობის შეგრძნება საკუთარ სახლშიც დაამკვიდროს.

ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ადამიანი ოჯახში იღებს ყველაფრის საწყისს. ოჯახში ყალიბდება იგი როგორც პიროვნება. ისიც ვიცით, რომ ზნეობრივად განვითარებული ოჯახები ქმნიან ზნეობრივად განვითარებულ საზოგადოებას, რომლისგანაც შესაბამისად იქმნება ზნეობრივი სახელმწიფო. ამიტომაც, გამოდის რომ ოჯახია საფუძველი და საყრდენი საზოგადობრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა. ცალკეული ოჯახების კეთილზნეობრივ ცხოვრებაზეა დამოკიდებული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების კეთილი წყობაც და წესრიგიც.

ამრიგად, ჩვენს სახელმწიფოში შექმნილი გაურკვეველი და არამდგრადი მდგომარეობა, ქაოსი, უკიდურესი გაჭირვება საოცრად ზღაპრული სიმდიდრის ფონზე, სასოწარკვეთა და უიმედო განწყობა - ცალკეული ოჯახების დამსახურებაა. შეიძლება შემედავოთ და მითხრათ, გარემო და ქვეყანა გვაქვს ასეთი, ჩვენ რა შუაში ვართო, მაგრამ სწორედაც რომ შუაში ვართ, რადგან გარემოსაც და ქვეყანასაც ხომ ჩვენ ვქმნით.

ოჯახი

ჩვენმა წინაპრებმა თავიანთი აზროვნებითა და ცხოვრების წესით უკვე შექმნეს ეპოქები და დაგვიტოვეს ის ისტორიები, რომლითაც დღემდე ვამაყობთ და რომლითაც მოვედით, მოვაღწიეთ თანამედროვეობამდე. ახლა კი ჩვენი ჯერია. ჩვენზეა დამოკიდებული, თუ როგორი იქნება ჩვენი მომავალი თაობა. ყოველ შემთხვევაში, წარსულის ღრმა ცოდნა და ხშირი გახსენება რომ აუცილებლად გვესაჭიროება, ამაში ორი აზრი არ არსებობს და, არათუ მარტო ცოდნა ისტორიისა, არამედ, არ დავიწყება, გათვალისწინება და ცხოვრების წესად დანერგვა წარსული ღირებულებებისა.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

21 სექტემბერი ღვთისმშობლის შობის დღეა

უფალმა, ადამის მოდგმა რომ ეხსნა, კაცობრივი ბუნების მიღება ინება და დედად ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი გამოირჩია.

ძველი აღთქმის წიგნებში ბევრგან გვხვდება წინასწარმეტყველება ღვთისმშობლის შესახებ. ეზეკიელ წინასწარმეტყველს იგი დახშულ ბჭედ ეჩვენა: „რომელი არავინ განვლო, გარნა ღმერთმან და დახშული ჰგიეს ბჭეი იგი“ (ეზ. 44:2); დანიელ წინასწარმეტყველი ამბობდა: „მთისაგან ლოდი თვინიერ ხელისაგან კაცისა გამოკუეთილი“ (დან. 2:34), რაც იესო ქრისტეს უმამაკაცოდ შობას გულისხმობდა, ხოლო ესაია ღაღადებდა: „აჰა ესერა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე “ (ესაია 7:14).

მოსემ ღვთისმშობელი შეუწველ მაყვლოვნად იხილა სინას მთაზე, გედეონმა - საწმისად, დავითმა - ტარიგად, ოსე წინასწარმეტყველმა უხრწნელ ქალწულად ჰქადაგა, ეზეკიელმა - სიწმინდის ბჭედ, დანიელმა - შეურყეველ მთად, ესაიამ - იესეს ძირად.

ქრისტიანულ ლიტერატურაში არსებობს იაკობის აპოკრიფული თხზულება „შობა მარიამისა“ (აპოკრიფი ბერძნული სიტყვაა და „დაფარულს“ ნიშნავს. მოგვიანებით ეს სახელი ეწოდა არაკანონიკურ წიგნებს, თუმცა ზოგიერთ აპოკრიფულ თხზულებას წმინდა ეკლესია იწყნარებს, თუკი მათი თხრობა არ ეწინააღმდეგება ეკლესიის სწავლებას), რომელიც დაწვრილებით მოგვითხრობს, თუ როგორ შეეძინათ იოაკიმესა და ანას მომავალი მშობელი განკაცებული უფლისა.

ყოვლადწმიდა ქალწული გალილეის პატარა ქალაქ ნაზარეთში დაიბადა. მისი მამა, მართალი იოაკიმე, დავით მეფის ტომიდან იყო, ხოლო დედა, მართალი ანა, პირველი მღვდელმთავრის აარონის შთამომავალი გახლდათ. ღვთისმოშიშ ცოლ-ქმარს შვილი არ ეძლეოდა. ასე მიაღწიეს მათ ხანდაზმულობამდე, მაგრამ იმედი არ დაუკარგავთ, რომ ღმერთი, რომლისთვისაც არაფერია შეუძლებელი, შვილს მომადლებდა მათ. იოაკიმემ და ანამ აღთქმა დადეს, რომ ახალშობილს ტაძარში მსახურებისათვის უფალს მიუძღვნიდნენ. ებრაელები უშვილობას ღვთის სასჯელად მიიჩნევდნენ, ამიტომ იოაკიმე და ანა თანამემამულეთაგან მრავალ უსამართლო ყვედრებას ისმენდნენ. ერთ-ერთ დღესასწაულზე მართალ იოაკიმეს იერუსალიმის ტაძარში უფლისათვის მსხვერპლის შეწირვა სურდა, მაგრამ მღვდელმთავარმა უარი უთხრა. მოხუცი ღრმა მწუხარებით აივსო, უდაბნოს მიაშურა და ორმოცი დღე მარხვასა და ლოცვაში გაატარა.



უფალმა შეისმინა ცოლ-ქმრის ვერდება. მთვარანგელოზმა გაბრიელმა ანას აცნობა, რომ იგი მალე დედა გახდებოდა, ხოლო მისი ნაშობი განდიდდებოდა. გახარებულმა ქალმა მადლიერების ნიშნად მაშინვე აღთქმა დადო, რომ ბავშვს უფალს შესწირავდა. ანგელოზმა უდაბნოში განმარტოებულ იოაკიმესაც აუწყა, რომ ღმერთმა მისი ვედრება შეისმინა და მალე მემკვიდრე შეეძინებოდა.

გავიდა ხანი და ანამაც იმშობიარა. მას ქალიშვილი შეეძინა, რომელსაც მარიამი უწოდეს.

მარიამი ერთი წლისა რომ გახდა, იოაკიმემ დიდი ლხინი გადაიხადა და მღვდელმთავრები, მღვდლები, მწიგნობრები და პატივსაცემი მოხუცები მიიწვია. მღვდელმთავრებმა და მღვდლებმა ჩვილი დალოცეს და ღმერთს მისი კურთხევა შესთხოვეს.

შობა ყოვლადწმიდა ქალწულისა მარიამისა, ვინც თავისი უმანკო სხეულით განკაცებული უფალი იტვირთა, ქრისტიანთა ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაულია. ღვთისმშობელმა თავისი სიწმინდითა და სათნოებით არა მხოლოდ ყველა მოკვდავს, ყველა ანგელოზსაც გარდაამეტა, ღვთის ცოცხალ ტაძრად იქცა, როგორც მას წმინდა მართლმადიდებელი ეკლესია უგალობს, გახდა „ზეციური ბჭე, რომლითაც ქრისტე ამქვეყნად მოვიდა ჩვენს სულთა სახსნელად“.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ზეციურ იერარქიაში თვით უმაღლესი დასის ანგელოზებზე მაღლა დგას. როგორც მისდამი მიძღვნილ ერთ-ერთ საგალობელშია, „უპატიოსნესი ქერუბიმთა და აღმატებით უზესთაესი სერაფიმთა“.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ყველას შემწე და მეოხია, მაგრამ საქართველოსა და ქართველებს იგი განსაკუთრებიტ მფარველობს. ეს იმიტომ, რომ, საღვთო გადმოცემის თანახმად, ივერია ღვთისმშობლის წილხვედრია. როცა მოციქულები წილს ყრიდნენ, ვის რომელ მხარეში ექადაგა ქრისტეს რჯული, ღვთისმშობელს საქართველო ხვდა წილად, მაგრამ დედაღვთისას უფალი გამოეცხადა და აუწყა, არ დაეტოვებინა იერუსალიმი, ვინაიდან მოახლოებული იყო მისი მიძინება, და ისიც აღუქვა, რომ მისი წილხვედრი მიწა მომავალში გაბრწყინდებოდა. ასე რომ, ღვთისმშობლის ნაცვლად საქართველოში ანდრია პირველწოდებული გამოგზავნეს.

საქართველო რომ ღვთისმშობლის მფარველობის ქვეშ იმყოფება, ეს ღვთის დიდი წყალობაა, მაგრამ ამავდროულად უდიდესი პასუხისმგებლობაც. წყალობას, მადლიერების გარდა, ღირსეულად მიღებაც სჭირდება, რადგან წყალობა მხოლოდ მაშინაა ჯილდო, როცა ერთულად მსახურებ უფალს; თუ უღირსად ექცევი ბოძებულ მადლს, იგი სასჯელად იქცევა.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობას მართლმადიდებელი ეკლესია 21 (ძვ. სტ. 8) სექტემბერს დღესასწაულობს. ამ დღეს ტაძრებში საგანგებო საგალობლებს აღავლენენ - ადიდებენ ყოვლადწმიდა ქალწულს, ვითარცა კიბეს, რომელამც ცა და დედამიწა შეაერთა, როცა ხორციელად შვა უფალი, და ვითარცა „მაყვალს შეუწველს“, რადგან დაიტია ღმერთი და არ დაიწვა.

სახალისო ფეხბურთის სკოლა დედოფლისწყაროში

2013 წლის 6 სექტემბერს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ცენტრალურ სტადიონზე გაიხსნა სახალისო ფეხბურთის ღია სკოლა. სკოლის გახსნა არის იმ ჰუმანიტარული პროექტის შემადგენელი ნაწილი, რომელსაც ახორციელებს და სპონსორობას უწევს საერთაშორისო ფეხბურთის ფედერაცია, უეფა, დანიის, ნორვეგიის, შვედეთის, ფინეთის მთავრობები და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. პროექტის ხელმძღვანელია ანდერს ლევინსონი.

ღონისძიებაში მონაწილეობს სხვადასხვა ეროვნების, 7-დან 12 წლამდე ასაკის, 200 მოზარდი.

პროექტი ემსახურება ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, სოციალური საკითხების მოწესრიგებას, ბავშვთა ჩართულობას სპორტის სხვადასხვა სახეობაში. სახალისო ფეხბურთში მონაწილეობს 12 გუნდი. ყველა გუნდს ჰყავს მწვრთნელი, რომლებმაც მიმდინარე წლის აგვისტოში, ქალაქ ზუგდიდში, გაიარეს ტრეინინგები.

საქართველოში პროექტს ხელმძღვანელობს ბადრი ქარქაშაძე, ხოლო ამიერკავკასიის რეგიონის პროექტის ხელმძღვანელია ვალერი ჩოლარია.

დედოფლისწყაროში, სახალისო ფეხბურთის ღია სკოლის გახსნას სტუმრობდნენ: შიდა ქართლის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრი, პროექტის ინსტრუქტორი გია რევაზიშვილი, კახეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრი, პროექტის ინსტრუქტორი ბატონი გოჩა როსტომაშვილი, ღია სკოლების ამიერკავკასიის ინსპექტორი მაცი კვარაცხელია და შიდა ქართლის რეგიონალური ქალთა ფეხბბურთის პრეზიდენტი ელენე გიორგაძე.

სახალისო ფეხბურთის ღია სკოლის გახსნას ესწრებოდნენ: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი, გამგებლის მოადგილე აკაკი ნატროშვილი, გამგეობის განათლების, კულტურის სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი.

დედოფლისწყაროს საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა,მონაწილე ბავშვებს, საგზაო მოძრაობის ნიშნები გააცნეს.

ღონისძიება მიმდინარეობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის თანადგომით. ორგანიზებას უწევენ ცენტრის მწვრთნელები- ზურაბ ჩალაბაშვილი და კაკო მაჩაბლიშვილი.

უახლოესი მეზობლები: გოჩა ნატროშვილი, გელა გველუკაშვილი, ომარ ჩალახუშაშვილი, რაია ბაცაცაშვილი, მედიკო მჭედლიშვილი ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ მაია, ჭაბუკი და ქეთინო ალუღიშვილებს - დედის

ცირას

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლები იუწყებიან ყოფილი თანამშრომლის

ცირა ალადაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შპს „სალბუნი ფარმა“ (ყოფილი ცენტრალური აფთიაქი) იუწყება ყოფილი თანამშრომლის

რუიზან ფოცხვერაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



ჯროსვორდი

ვერტიკალურად: 1. ქალაქი საქართველოში, ჯავახეთის ზეგანზე. 2. ღვინისა და ლხინის ღმერთის დღეობა ძველ საბერძნეთში. 3. სიყვარულის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში, ხოლო ძველ რომაულ მითოლოგიაში გაზაფხულის ბაღებისა და ყვავილების ქალღმერთი. 4. მეათე საუკუნის სპარსული პოეზიის წარმომადგენელი. 5. მცირე ზომის ფიცრის პატარა მაგიდა. 6. აკვიატებული იდეა. 8. მეფე ოიდიპოსის ასული ძვ ბერძნული მითოლოგიის მიხედვით. 12. ცალნახადი, სუსტი არაყი. 14. ლოყებზე დატოვებული და ნიკაპზე ამოსული წვერი. 17 გარკვეული მიზნით, ან თვალსაზრისით შერჩეული თემების ერთობლიობა (მწერლის, მეცნიერის, შემოქმედების პერიოდული გამოცემების და ა.შ.) 18. ნახევარკუნძული, რომელსაც გამოკვეთილი ჩექმის ფორმა აქვს. 19. კენკროვანი მცენარე. 20. რადგანაცაო, რაკიო, ესაო და... 21. საჰაერო ფლოტი, საფრენი მანქანების ერთობლიობა. 22. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში, ბორჯომისა და წალკის რაიონებში.

ჰორიზონტალურად: 4. სინამდვილის იმიტირების მიზნით შექმნილი საგანი. თეატრალურ სპექტაკლში ნამდვილი საგნების ნაცვლად გამოიყენება. 7. ყველაზე სწრაფი თევზი, რომელსაც შეუძლია განავითაროს 130 კმ.სთ. 9. ფრჩხილის საღებავი. 10. რუსი მსახიობი ქალი, 20-საუკუნის ოციან წლებში მოსკოვის სამხატვრო თეატრის გასტროლების დროს დარჩა აშშ-ში, ოლგა... 11. გერმანიის საფეხბურთო კლუბი. 13. რთული სიტყვების პირველი შემადგენელი ნაწილი, რომელიც მნიშვნელობით „წიგნს“ შეესატყვისება. 15. ძველი ბერძნული მითოლოგიის თანახმად, მესამე მოირა, სიცოცხლის ძაფის გადამჭრელი. 16. თევზის კვერცხი. 18. დიდი რაოდენობით ენერგიის განთავისუფლება შეზღუდულ მოცულობაში დროის მცირე მონაკვეთში. 23. მეხიკოს მთავარი სტადიონი მსოფლიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სპორტული არენა. 24. ალექსანდრე მაკედონელის ცხენის სახელი. 25. ქალაქი ეგვიპტეში, ეგვიპტის 5 უდიდეს ქალაქს შორის მეხუთე. 26. გაბმული ბაკიბუკი. 27. ქვეყანა ჩრდ. ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილში. 28 იგივე ქელეხი. 29. შეჩვენება.

გიწვევთ უფასო სამედიცინო გამოკვლევებზე

მიმდინარე წლის 14, 15, 16 და 17 სექტემბერს დედოფლისწყაროს გამგეობის შენობის პირველ სართულზე ჩატარდება საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების პროგრამით გათვალისწინებული მოსახლეობის უფასო სამედიცინო გამოკვლევა.

მოქალაქეთა მიღება დაიწყება დილის ათი საათიდან.

დედოფლისწყაროს
მუნიციპალიტეტის
გამგეობა

იჩქარეთ,დეკლარაციების წარდგენა დაიწყო!

გაცნობებთ, რომ ჩაირთო ინტერნეტის საშუალებით სასოფლო-სამეურნეო მიწის დეკლარაციების გადაგზავნის პროგრამა, რაც საშუალებას იძლევა მიწის მოსარგებლეთა მიერ 2013 წლის მიწის დეკლარაციების შევსება-გადაგზავნას.

შეგახსენებთ, რომ საგადასახადო კოდექსის მიხედვით მიწის დეკლარაციების ჩაბარების ბოლო ვადაა 2013 წლის 1 ნოემბერი. დეკლარაციების ჩაბარების ვალდებულება ეკისრება ყველა მიწის მფლობელს, რომელსაც შესყიდული, გაყიდული ან შესასყიდი აქვს მის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთი.

დეკლარაციების წარდგენა საშუალებას მისცემს მოსახლეობას დააზუსტოს მასზე არასწორად რიცხული გადასახადები, აგრეთვე გაუადვილებს შემდგომში მიწის გამოსყიდვის საშუალებას.

იჩქარეთ, დრო შეზღუდულია!

შპს „ლაშარი +“

ტელ: 591 224495 -გენადი; 593 281146-ნინო; 577 387454- ნატო.

ყურადღება!

კაფე-მაღაზია „კაპუჩინოს“ ესაჭიროება გამყიდველი და ტორტების და ნამცხვრების მცხობელი. უმჯობესია, ჰქონდეს შესაბამისი გამოცდილება. მსურველებმა დარეკეთ 599 65 25 95.

ულოცავენ!

ვასიკო ჯაგოდნიშვილს! ანა გულაშვილს!

გილოცავთ პირველი ვაჟის საბას დაბადებას, ბედნიერი მშობლები ყოფილიყავით. ახალშობილს კი ჯანმრთელობას და დღეგრძელობას ვუსურვებთ. ღმერთის წყალობა არ მოგკლებოდეთ. ჩვენთვის დიდი სიხარულია პატარა ვაჟკაცის ამქვეყნად მშვიდობიანი მობრძანება, ის ხომ ჩვენთვისაც პირველია, გამრავლდით და გაიხარეთ!

პაპები: ნოდარ (ცუცნა) ტუსაშვილი, თამაზ, ზურიკო ქენქაძეები ოჯახებით.

ბებია: ნელი ქენქაძე.

მამიდები: ნია, მარი, ბარბარე ტუსაშვილები.

დიდი ბებიები: ფატი და ლუიზა ზურაშვილები.

თამარ კიკნაძეს! ნანა ნადაშვილს!

გილოცავთ დაბადების დღეს, იყავით ბედნიერები თქვენს საყვარელ ოჯახებთან ერთად, გფარავდეთ ღმერთი!

თქვენი ბებო ლია გამხარაშვილი.

მანანა ჭილიტაშვილს!

არბოშიკის საჯარო სკოლის პედკოლექტივი დაბადების დღეს ულოცავს ქალბატონ მანანა ჭილიტაშვილს. უსურვებს ჯანმრთელობას, წარმატებას პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ლალი აბაშიძეს!

ჩემო ლალი, გილოცავ დაბადების საიუბილეო თარიღს და ახალი სასწავლო წლის დაწყებას. გისურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ულევ სიხარულს შენს ბრწყინვალე ოჯახის წევრებთან ერთად, წარმატებებს პირად ცხოვრებაში და პედაგოგიურ საქმიანობაში.

სამწუხაროა, რომ შენს იუბილეს დედაშენი (ჩემი უახლოესი მეგობარი) რუსუდან წერეთელი ვერ დაესწრო და რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა. ღმერთმა ინებოს და მწუხარებით დაწყებული მიმდინარე წელი სიხარულით დაგიმთავროთ - შენი ლამაზი, სათნო და კეთილი ქალიშვილების ხათუნასა და ირმას ნიშნობ-ქორწილით გაგეხაროთ

პატივისცემით, კლარა ოზაშვილი.

ამინდი

	ორშაბათი 16.09		სამშაბათი 17.09		ოთხშაბათი 18.09		ხუთშაბათი 19.09		პარასკევი 20.09		შაბათი 21.09		კვირა 22.09	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	21 °	20 °	21 °	20 °	22 °	21 °	22 °	19 °	21 °	19 °	21 °	18 °	20 °	19 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფირუსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K